“ძმურად” გაიყვეს 2 ქულა

ლენინგრადი. ს. კიროვის სახელობის სტადიონი. 19 აგვისტო.

“ზენიტი” (ლენინგრადი) - “დინამო” (თბილისი) - 0:0.

“ზენიტი”: გალიმოვი, ნეპომილუევი, სოვეიკო, დერგაჩოვი, დანილოვი, გორბუნოვი, ზავიდონოვი, კროტკოვი, რიაზანოვი, ბურჩალკინი, ვასილიევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

ლენინგრადელებმა თავიდანვე ისეთი თავბრუდამხვევი ტემპი განავითარეს, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მათ განიზრახეს შარშანდელი ამბის გამეორება, როცა დინამოელთა დაცვის რიგებში თავიდანვე დიდი არევ-დარევა მოხდა. ალბათ, გახსოვთ, რომ ის სამწუხარო მატჩი თბილისელებმა დიდი ანგარიშით (0:5) წააგეს. მაგრამ ამჯერად სწრაფმა ტემპმა მასპინძლებს სასურველი შედეგი არ მოუტანა და მათ ამჯობინეს უფრო დინჯი, გააზრებული იერიშებით მიეღწიათ წარმატებისთვის. სანამ “ზენიტი” ტაქტიკის შეცვლაზე ზრუნავდა, დინამოელთა ფორვარდებმა რამდენიმე სახიფათო გარღვევა განახორციელეს, რომლებიც თითქოს მეტოქის კარის აღებით უნდა დაგვირგვინებულიყო. მაგრამ ამაოდ: ხან გალიმოვი თამაშობდა კარგად, ხანაც ბარქაიას, მეტრეველისა და მესხის დარტყმები იყო უზუსტო.

შესვენების შემდეგ იგივე სურათი გამეორდა, თუმცა თბილისელთა კართანაც საკმაოდ ხშირი იყო სახიფათო მომენტი.

ბოლოს და ბოლოს მეტოქეებმა “ძმურად” გაიყვეს 2 ქულა - 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩიც ფრედ დამთავრდა, თუმცა ანგარიში “მშრალი” არ იყო - 1:1.

“ლელო”, 20 აგვისტო, 1964 წ.